Liberté • Égalité • Fraternité
RÉPUBLIQUE FRANÇAISE
MINISTÈRE DES SOLIDARITÉS ET DE LA SANTÉ

ავად ვარ

სად ვიმკურნალო ?
როგორ გავიგო, სად წავიდე ?

მე შეიძლია ჩემთან ახლოს მდებარე ორგანიზაციებისა და მედიცინის სპეციალისტების სია ვიპოვნო საიტზე http://annuairesante.ameli.fr,

გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევისას მე ვრეკავ 15 ან 112 და ისინი მიმმართავენ ჩემი სიტუაციის შესაბამისად.

ჯანდაცვის სპეციალისტთან, ჰოსპიტალის გარეთ

ჯანმრთელობის პრობლემის გამო, შეგიძლიათ მიმართოთ „ოჯახის ექიმს", რომელიც გაგსინჯავთ და გამოგიწერთ საჭირო მედიკამენტებს. თუ საჭიროებთ დამატებით გასინჯვას ან მკურნალობას, გადაგამისამართებთ „სპეციალისტ" ექიმთან ან დამხმარე მედპერსონალთან (ექთანი, მასაჟისტი-ფიზიოთერაპევტი და სხვა).

აფთიაქში

ექიმის ან საავადმყოფოს მიერ გამოწერილი, ან ურეცეპტო, მედიკამენტების საყიდლად კონსულტაციისთვის.

ფასიანი სამედიცინო მომსახურება შეიძლება ანაზღაურდეს თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ : იხილეთ გვერდი 2 გასავლელი საფეხურებისთვის

ჰოსპიტალში

გადაუდებელ შემთხვევაში
ზოგიერთი გასინჯვის ან კონსულტაციისთვის, წინასწარ დანიშნულ შეხვედრაზე.

დაწესებულებებში, სადაც გიმკურნალებენ უფასოდ, როგორიც არ უნდა იყოს თქვენი სიტუაცია

ყველა სახის მკურნალობისთვის, სამედიცინო მომსახურების მუდმივი წვდომის (PASS) ცენტრებში
ორსული ქალებისთვის და 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის : PMI-ის ცენტრი
ტუბერკულოზისთვის : ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი (CLAT)
VIH-ის, ჰეპატიტისა და სქესობრივი გზებით გადამდები ინფექციების გამოსავლენად : CeGIDD
კონტრაცეპტული საშუალებების მისაღებად : ოჯახის დაგეგმვის ცენტრი (CPEF)
დამოკიდებულებების დასაძლევად : CSAPA
სპეციალიზებულ ასოციაციებში.

იცოდეთ

არა დისკრიმინაციას და სამედიცინო საიდუმლო: ჯანდაცვის სპეციალისტებს (ექიმები, ექთნები, სტომატოლოგები და სხვა) არ შეუძლიათ, უარი თქვან თქვენს მოვლაზე თქვენი წარმომავლობის გამო. მათ ეკრძალებათ, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადასცენ რომელიმე სხვა პირს, მათ შორის ოფიციალურ უწყებებს.

მკურნალი ექიმი: იმისთვის, რომ მიიღოთ უკეთესი მოვლა და თანხის ანაზღაურება, უნდა აირჩიოთ ექიმი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი თქვენს სამედიცინო ზედამხედველობაზე. ისაუბრეთ ამაზე თქვენი პირველი კონსულტაციის დროს.

არ შეიძლება ჩაგიტარდეთ რაიმე სამედიცინო ქმედება ან მკურნალობა, სანამ არ მიიღებთ სრულ ინფორმაციას და მისცემთ თანხმობას.

Pour tout ressortissant d'Etat tiers à l'Union Européenne

Liberté • Égalité • Fraternité
RÉPUBLIQUE FRANÇAISE

MINISTÈRE DES SOLIDARITÉS ET DE LA SANTÉ

როგორ აიღოთ ჯანმრთელობის დაზღვევა, რომ აგინაზღაურდეთ მკურნალობის ხარჯები?

საფრანგეთში სამედიცინო მომსახურება ფასიანია, მაგრამ შეგიძლიათ ისარგებლოთ ჯანმრთელობის დაზღვევით, რომელიც დაფარავს თქვენს სამედიცინო ხარჯებს ნაწილობრივ ან მთლიანად, თქვენი სიტუაციის მიხედვით. მოითხოვეთ ინფორმაცია და შესავსები ანკეტები პირველადი სამედიცინო დაზღვევის ფონდში(CPAM) ან ტელეფონით ნომერზე 3646 (ზარი ფასიანია) ან საიტებზე www.ameli.fr და www.cmu.fr.

მნიშვნელოვანი

- ✓ **თუ თქვენი ბავშვები საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას** : შეგიძლიათ არ დაელოდოთ თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევის მიღებას, მიმართოთ CPAM-ს დამადასტურებელი საბუთებითა და მკურნალობის ქვითრებით, რომ მათ დაფარონ ხარჯები.
- ✓ **უნდა მიაწოდოთ ფიქსირებული მისამართი ან შესაბამის სამსახურებს სწრაფად მოსთხოვოთ თქვენთვის მისამართის მინიჭება,** სადაც მიიღებთ ფოსტას, თუ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გაქვთ.

მე არ მაქვს ბინადრობის უფლება და ვიმყოფები საფრანგეთში 3 თვეზე ნაკლები ხანია

მე უნდა გადავიხადო ჩემი სამედიცინო მომსახურების….

…მაგრამ შეიძლება მიმკურნალონ უფასოდ::

- ✓ ჰოსპიტალში, თუ ვარ ორსულად ან მჭირდება გადაუდებელი დახმარება მაგ.: ტრავმა ან სერიოზული დაავადება, ინფექციური დაავადება (მუნი, ტუბერკულოზი, სხვა), ქრონიკული დაავადებები (დიაბეტი და სხვა), მედიკამენტური მკურნალობის აუცილებლობა…
- ✓ რომელიმე უფასო სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც ჩამოთვლილია 1-ლ გვერდზე.

მე არ მაქვს ბინადრობის უფლება და ვიმყოფები საფრანგეთში 3 თვეზე მეტი ხანია

ვითხოვ სახელმწიფო სამედიცინო დახმარებას (AME) ჩემს CPAM-ში.

თუ ვაკმაყოფილებ პირობებს (დაბალი შემოსავალი და მტკიცებულება, რომ 3 თვეა ვიმყოფები საფრანგეთში), მივიღებ AME ბარათს მკურნალობის დროს წარსადგენად (ჰოსპიტალში, ექიმთან, წამლებისთვის და სხვა). ჩემი მკურნალობის ხარჯები დაფარული იქნება. მე არ გადავიხდი ჩემი მკურნალობისთვის, გარდა გარკვეული მედიკამენტებისა (ნარინჯისფერი სტიკერი) და ზოგიერთ ექიმთან კონსულტაციის საფასურის ნაწილისა.

მოითხოვეთ ფასები კონსულტაციამდე.

AME არის უფასო და მოქმედი 1 წელი.

მე გავლით ვარ საფრანგეთში (მაგ. : ტურისტული ვიზით)

მე ვიხდი მკურნალობის მთელ ხარჯებს.

მე უნდა მქონდეს შეძენილი კერძო დაზღვევა, რომ ჩემი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებისას ვისარგებლო გარკვეული პირობებით.

მე მაქვს ბინადრობის უფლება და ვიმყოფები საფრანგეთში 3 თვეზე მეტი ხანია

მე ვითხოვ ჯანმრთელობის დაზღვევის ანაზღაურებას და დამატებით CMU–ს ჩემს CPAM-ში.

ჩემი ჯანმრთელობის დაზღვევისთვის, მე მივიღებ დოკუმენტს სახელად « attestation de droits » (უფლებების სერთიფიკატი), შემდეგ ბარათს სახელად « carte Vitale », რომ წავადგინო ჩემი სამედიცინო მომსახურების დროს ჩემი მკურნალობის ხარჯების ნაწილის ასანაზღაურებლად. მოითხოვეთ ფასები კონსულტაციამდე.

თანხების სრული დაფინანსებისთვის შემიძლია ვისარგებლო დამატებითი დაზღვევით:

- ✓ თუ ვაკმაყოფილებ პირობებს დამატებითი CMU-სთვის (დაბალი შემოსავალი და მტკიცებულება, რომ 3 თვეა ვიმყოფები საფრანგეთში), ჩემი სერთიფიკატი და ჩემი carte Vitale განახლდება და მე მივიღებ ჯანმრთელობის დაზღვევას სრული დაფინანსებით. მე არ გადავიხდი ჩემი მკურნალობისთვის. დამატებითი CMU არის უფასო და მოქმედებს 1 წელი.
- ✓ თუ ჩემი შემოსავალი მაღალია, იმისთვის რომ მივიღო დამატებითი CMU, შემიძლია ავიღო « mutuelle » (თანაზიარი) გადახდა, რომელიც დაფარავს ჩემი მკურნალობის ხარჯებს არჩეული შეთანხმების შესაბამისად.

თუ მაქვს სამსახური, თუ ვარ თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილი, სტუდენტი, ოჯახის წევრი პიროვნებისა, რომელმაც უკვე აიღო ჯანმრთელობის დაზღვევა : შემიძლია ვისარგებლო ჯანმრთელობის დაზღვევით **საფრანგეთში ჩემი ჩასვლიდან 3 თვის გასვლამდე.**

ჯანმრთელობის დაზღვევისთვის CPAM-ში განაცხადის შევსებისას (რომლის ასლებსაც შეინახავთ) :

- ✓ **შესავსებ ანკეტებში მიუთითეთ თქვენს კმაყოფაზე მყოფი ოჯახის ყველა საფრანგეთში მცხოვრები წევრი, რომ მათაც შეძლონ დაზღვევით ისეთივე სარგებლობა.**
- ✓ წარადგინეთ თქვენი სახელითა და თარიღით გაცემული საფრანგეთში ყოფნის ყველა მტკიცებულება (მაგალითად: ქირავნობის ქვითარი, ტელეფონის ქვითარი, ექიმის რეცეპტი, ასოციაციის სერთიფიკატი…).
- ✓ თუ თქვენ გიმკურნალეს, ან უნდა გიმკურნალონ, დაურთეთ მკურნალობის ქვითარი ან ცნობა, რომ ჯერ შეიწავლონ თქვენი შეტანილი განაცხადი..